**დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წელს საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით შქმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის**

# ო ქ მ ი №2

ქ. დმანისი 10 მაისი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზაკურ მგელაძე** - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **კომისიის თავმჯდომარე;**
2. **თენგიზ მიროტაძე** - დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი - **კომისიის წევრი;**
3. **თამაზ ადუაშვილი** - გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსის მ.შ. - **კომისიის წევრი;**
4. **თემურ ტატულაშვილი** - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **კომისიის წევრი;**

დღის წესრიგი:

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წელს საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) 2011 წლის 28 აპრილს გამოცხადებული №49 კონკურსის შედეგების განხილვა (მომხ. თ. ტატულაშვილი).

თ. ტატულაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად კონკურსანტ(ებ)ს საკონკურსო წინადადება უნდა წარმოედგინათ ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებასთან ერთად 2011 წლის 10 მაისს 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ. 41, მესამე სართული (საკრებულოს კანცელარია). ასევე, აღინიშნა რომ საკონკურსო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ კონკურსანტს დადგენილ ვადაში.

კომისიამ იმსჯელა და

დაადგინა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[2] მუხლისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წელს საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) 2011 წლის 28 აპრილს გამოცხადებული №49 კონკურსის მიენიჭოს სტატუსი - „კონკურსი არ შედგა".

2. დაევალოს საკონკურსო კომისის აპარატმა (მ. ასლანიშვილი, გ. კავლელაშვილი) წარადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით დასკანერებული სახით სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (contest@procurement.gov.ge) მეშვეობით აღნიშნული ოქმი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ზ. მგელაძე

კომისიის წევრი: თ. მიროტაძე

კომისიის წევრი: თ. ადუაშვილი

კომისიის წევრი: თ. ტატულაშვილი